ანბანის ლოტო

მოსწავლეები ამოიცნობენ ტომრიდან ამოღებულ ასო-ბგერებს და ავსებენ ლოტოს ფურცლებს.

კლასი: I

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: ბოთლის თავსახურებზე/ბარათებზე დაწერილი ასოები.

მსვლელობა

- მასწავლებელი პოლიეთილენის ბოთლის თავსახურების შიდა მხარეს დაწერს ასო-ბგერებს. თითოეულ თავსახურში უნდა ეწეროს თითო ასო. რესურსის უქონლობის შემთხვევაში შესაძლებელია ასოები დაიწეროს ბარათებზეც (თითო ასო - თითო ბარათზე).
- მასწავლებელი A4 ზომის ფურცელს დაყოფს 9 ტოლ ნაწილად. თითოეულ უჯრედში ჩაწერს თითო ასო-ბგერას არეული თანამიმდევრობით.
- მასწავლებელი ფურცლებს დაურიგებს თამაშის მონაწილეებს. აქტივობის წყვილებში წარმართვის შემთხვევაში თითო ფურცელი შეხვდება მოსწავლეთა წყვილს.
- მასწავლებელი ჩაყრის ბოთლის თავსახურებს/ბარათებს ტომარაში ან ყუთში.
- მასწავლებელმა ან წამყვანის როლის შემსრულებელმა ერთ-ერთმა მოსწავლემ რიგრიგობით უნდა ამოიღოს თავსახურები/ბარათები ტომრიდან, ხმამაღლა წარმოთქვას ასო-ბგერა და უჩვენოს მონაწილეებს.
- მონაწილე მოსწავლეები აკვირდებიან თავიანთ ფურცლებს. თუ ტომრიდან ამოღებული ასო მათ ფურცელზეც აღმოჩნდა, მოსწავლემ მას კენჭი/ნიჟარა ან რაიმე პატარა ნივთი უნდა დაადოს.
- ვის დაფაზეც პირველად დაემთხვევა მწკრივში სამი ასო ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად ან დიაგონალზე, დაიყვირებს: „ბინგო!“ და ამოიკითხავს ასოებს.
- თუკი მოსწავლის ბარათზე ყველა ასო მოინიშნება, მან უნდა დაიძახოს სიტყვა „სუპერბინგო“.
- ამის შემდეგ გამარჯვებული ხდება წამყვანი, შეაგროვებს ბოთლის თავსახურებს/ ასოების ბარათებს, ტომარაში ყრის და თამაში თავიდან იწყება.